

## დავით- გარეჯა

გადარუჯული დავით- გარეჯა...  
ამწვარ ტრამალზე ბზინავს ავშანი...  
ამ ველს, ამ სივრცეს ვინც უდარაჯა,  
ყინც შეიმსხვრია მკერდზე ჯავშანი, -

...

ვინ მოიგონოს, სადღა არიან,  
ვინ გაიხსენოს მათი სახელი =  
არც მოჩვენება, არც სიზმარია,  
ჩონჩხებით სავსე ჩანს საწნახელი...

გაჰქრენ ქარივით და სიზმარივით  
მათზე მგლოვარეც დაღპა თავშალი...  
და მხოლოდ ტბაზე შერჩა მარილი...  
ბალღამიანი ბზინავს ავშანი ...

÷

გადარუჯული დავით- გარეჯა...  
თუ მწარე წარსულს ასე ენება,  
დღეს დახსნილია ნესტან- დარეჯან,  
ძვირად დაგვიჯდა მისი შვენება!

წინაპართ შვილნი ვიღწვით და ვშრომობთ  
დიდ სიყვარულის ასაშენებლად ...  
მისტვის მივიბრძვით, ვიღწვით და ვშრომობთ  
და ჩვენი ღონეც მას შეეღევა!...